იცით, რა არის ჭორაობა?» თქვეს: ალლაჰმა და მისმა მოციქულმა უკეთ იცის. მან თქვა: «ეს არის საუბარი შენი ძმის შესახებ ისეთ რამეზე, რაც მას არ მოეწონებოდა

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «იცით, რა არის ჭორაობა?» თქვეს: ალლაჰმა და მისმა მოციქულმა უკეთ იცის. მან თქვა: «ეს არის საუბარი შენი ძმის შესახებ ისეთ რამეზე, რაც მას არ მოეწონებოდა». ვიღაცამ იკითხა: "თუ ის, რასაც ვამბობ, სიმართლეა?» თქვა: «თუ რასაც ამბობ, სიმართლეა, ეს არის ღიიბა(ზურგს უკან ლაპარაკი), ხოლო თუ ტყუილია, ეს არის ცილისწამება».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა აკრძალული ზურგს უკან ლაპარაკის ნამდვილი არსი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ადგილზე არმყოფ მუსლიმზე საუბრობენ ნეგატიურ კონტექსტში, რაც მას არ მოეწონებოდა, იქნება ეს მისი გარეგნული თვისებები თუ შინაგანი მახასიათებლები. მაგალითად: უწოდო მას «ბრმა», «თაღლითი» ან «მატყუარა“ და ა.შ., ისევე როგორც სხვა უარყოფითი აღწერილობების გამოყენება, თუნდაც ეს თვისება მას ჰქონდეს. თუ ადამიანი ადგილზე არარსებულ მუსლიმს მიაწერს ისეთ თვისებებს, რომლებიც მას არ გააჩნია, ეს არის კიდევ უფრო მძიმე ცოდვა, ვიდრე მასზე ზურგს უკან ცუდი საუბარი. ამგვარი ცოდვას „ბუჰთაან“-ი ეწოდება, რაც ნიშნავს ცილისწამებას, ანუ ადამიანის შესახებ ისეთი თვისებების გავრცელებას, რაც მას არ გააჩნია.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/5326